



*საქართველოს პრეზიდენტთან არსებული
განვითარებისა და რეფორმების ფონდის
სტიპენდიანტთა ასოციაცია*

***Alumni Association of the Development and Reforms
Fund under the President of Georgia***



„დასავლური ხედვა, ცოდნა და პროფესიონალიზმი“

“Western Vision, Knowledge and Professionalism”



ორგანიზაციის შესახებ

- „საქართველოს პრეზიდენტთან არსებული განვითარებისა და რეფორმების ფონდის სტიპენდიანტთა ასოციაცია” დაფუძნდა 2008 წლის 4 მარტს.
- ასოციაციის წევრები არიან ფონდის მიერ დაფინანსებული ქართველი ახალგაზრდები, რომლებმაც დასავლეთის წამყვან უნივერსიტეტებში მიიღეს უმაღლესი განათლება და საქართველოში დაბრუნდნენ მაგისტრის ხარისხით.
- ასოციაციის დამფუძნებლებმა კვალიფიკაცია აიმაღლეს ძირითადად სამართლისა და ბიზნესის სფეროში.



ფასეულობები

დასავლური ხედვა – დასავლური განათლებისა და მსოფლმხედველობის მქონე ახალგაზრდები, რომლებიც წვლილს შეიტანენ დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენობლობაში.

ცოდნა – დასავლეთში მიღებული განათლებისა და გამოცდილების საქართველოში რეალიზება წარმოადგენს ასოციაციის წევრთა უმთავრეს მიზანს.

პროფესიონალიზმი – ასოციაციის წევრები გამოირჩევიან საქართველოში და ასევე უცხოეთში სხვადასხვა სფეროებში მიღებული პროფესიული უნარ-ჩვევებითა და გამოცდილებით.



მიზნები

- უცხოეთში მიღებული განათლებისა და გამოცდილების საქართველოში რეალიზება;
- საჯარო სექტორში მიმდინარე რეფორმებში ასოციაციის წევრთა ინტელექტუალური რესურსის გამოყენება;
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ხელშეწყობა დასავლეთის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში განათლების მისაღებად, კვალიფიკაციის ამაღლებისათვის;
- საგანმანათლებლო-სამეცნიერო და სხვა საერთაშორისო და ადგილობრივი პროექტების განხორციელება.



საქართველოს პრეზიდენტთან არსებული განვითარებისა და რეფორმების ფონდი

განვითარებისა და რეფორმების ფონდი დაარსდა საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის, ინიციატივით 2004 წლის იანვარში, რომლის ძირითადი მიზნებია საქართველოში მიმდინარე რეფორმების მხარდაჭერა

- ადმინისტრაციული, სამართლებრივი და ინსტიტუციონალური რეფორმების განხორციელება, პრეზიდენტის და მთავრობის მიერ დასახული კონკრეტული ღონისძიებების მხარდაჭერა;
- საჯარო მოხელეების და სტუდენტების კვალიფიკაციის ამაღლების და სასწავლო პროგრამების ინიცირება – განხორციელება;



საქართველოს პრეზიდენტთან არსებული განვითარებისა და რეფორმების ფონდი

➤ საჯარო მოხელეების და სტუდენტების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ხელისშეწყობა და სასწავლო პროგრამების პოპულარიზაცია.



2005 წლიდან ამუშავდა „სასწავლო - სამეცნიერო და კვალიფიკაციის ამაღლების“ პროგრამა, რომლის ფარგლებში დაფინანსებულ იქნა 158 კანდიდატი უცხოეთში სამაგისტრო და სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ყოველწლიური საგრანტო პროგრამის შესახებ ინფორმაციისათვის ესტუმრეთ: www.drf.org.ge.



საფრანგეთი

მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანა (მე-5 ეკონომიური სიმძლავრით), რომელიც მდებარეობს დასავლეთ ევროპაში. მისი ფართობი შეადგენს 675 417 km², ხოლო მოსახლეობა 64,5 მილიონს.

2007 წელს დაახლოებით 217 000 უცხოელი სტუდენტი ჩაირიცხა საფრანგეთის უნივერსიტეტებში.



დასავლური ხედვა, ცოდნა და პროფესიონალიზმი



სწავლა საფრანგეთში



ზოგადად საფრანგეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამებზე სწავლა უფასოა და მიმდინარეობს ფრანგულ ენაზე.

ფრანგული სისტემა		ქართული სისტემა	
8		დოქტორანტურა (3 წელი)	დოქტორანტურა (3 წელი)
5	მაგისტრატურა პროფესიონალური მიმართულებით (2 წელი)	მაგისტრატურა კვლევის მიმართულებით (2 წელი)	მაგისტრატურა (2 წელი)
3	Licence - ბაკალავრიატი (3 წელი)		ბაკალავრიატი (4 წელი)

დასავლური ხედვა, ცოდნა და პროფესიონალიზმი



სწავლა საფრანგეთში

- ✓ მაგისტრატურა პროფესიული მიმართულებით :

მაგისტრატურა მოიცავს თეორიულ მეცადინეობებს და სწავლის ბოლოს სტაჟირებას, რომლის განხორციელების შემდეგ ტარდება დიპლომის დაცვა.

- ✓ მაგისტრატურა კვლევის მიმართულებით :

მაგისტრატურა მოიცავს თეორიულ მეცადინეობებს და ზიგიერთ შემთხვევაში სტაჟირებას. მიმართულება ძირითადად განკუთვნილი სტუდენტებისთვის ვისაც სურს დოქტორანტურაში ჩაბარება.



სწავლა საფრანგეთში

სამაგისტრო პროგრამაზე მოსახვედრად საჭიროა :

- ✓ უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი;
- ✓ ფრანგული ენის სათანადო დონეზე ცოდნა (ზოგადად ითხოვენ ენის ტესტს. იმ შემთხვევაში თუ პიროვნება ფლობს DALF-ის სრტიფიკატს იგი თავისუფლდება აღნიშნული ტესტისგან);
- ✓ კონკრეტული პროგრამის ხელმძღვანელთან დაკავშირება;
- ✓ საბუთების გაგზავნა უნივერსიტეტში;
- ✓ გასაუბრება პროფესორებთან;



საფრანგეთის უნივერსიტეტები

საფრანგეთის ქალაქებიდან ყველაზე მეტი პოლუარულობით
სარგებლობენ: <http://www.education.gouv.fr>

პარიზი (PARIS) - 17 სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლიონი (LYON) - 3 სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტრასბურგი (STRASBOURG) - 3 სახელმწიფო უნივერსიტეტი

მონპელიე (MONTPELLIER) - 3 სახელმწიფო უნივერსიტეტი


ბორდო (BORDEAUX) - 4 სახელმწიფო უნივერსიტეტი

მარსელი (MARSEILLE) - 3 სახელმწიფო უნივერსიტეტი

დასავლური ხედვა, ცოდნა და პროფესიონალიზმი

საფრანგეთის ბიზნეს ადმინისტრირების ინსტიტუტი

I.A.E (Institut d'Administration des Entreprises – MBA) დაარსდა 1955 წელს და მდებარეობს საფრანგეთის 29 ქალაქში, რომელსაც გააჩნია 500-მდე სამაგისტრო პროგრამა ბიზნეს ადმინისტრირებაში.



საფრანგეთის ბიზნეს ადმინისტრირების ინსტიტუტი

სფეროები, რომლებიც ისწავლება ბიზნეს ადმინისტრირების
ინსტიტუტში (I.A.E): www.reseau-iae.org


- საბუღალტრო აღრიცხვა – აუდიტი
- ორგანიზაციის მართვა – სტრატეგია
- საჯარო და კერძო დაწესებულების მართვა
- ინფორმატიკა
- მარკეტინგი
- ადამიანების რესურსების მართვა
- ფინანსები
- ხარისხი – ლოჯისტიკა – პროდუქცია



ლიონი (LYON)


პარიზის შემდეგ საფრანგეთის მეორე ქალაქი (ფინანსური სიძლიერით) , რომელიც მდებარეობს რონ-ალპის რეგიონში(Rhône-Alpes). ლიონი არის ინდუსტრიული ქალაქი, რომლის მოსახლეობა შეადგენს 1 784 000.

ყოველ წელს დაახლოებით 12 000 უცხოელი სტუდენტი სწავლობს ლიონის უნივერსიტეტებში



ჟან მულანის სახელობის უნივერსიტეტი - ლიონი (Jean Moulin Lyon 3)

Master 2 : ინოვაციის მართვა (Management de l'Innovation)



Master 2 : ინოვაციის მართვა (Management de l'Innovation)

სწავლა იყოფა 2 ეტაპად :

1. თეორია : 6 თვე ლექციები, რომლის განმავლობაში სტუდენტი ეუფლება 10 ძირითად და 2 დამატებით საგანს.

- ინოვაციის თეორია და პოლიტიკა
- პროექტის მართვა
- მარკეტინგი
- ადამიანის რესურსების მართვა
- ახალი პროდუქტის კონცეპციის შექმნა და მართვა
- ინოვაციის ინდუსტრიული პროექტი
- ინოვაციის სტრატეგიული მართვა
- ინფორმატიკული სისტემები, ინოვაციური გადაწყვეტილებების მიღების პროცესები
- ინოვაციის პროექტის მართვა
- ინოვაციის ფინანსური მართვა
- ინდუსტრიული კუთვნილება და პროექტის მართვა
- ინოვაციის ტექნოლოგიური კონტექსტი, სისტემური და ისტორიული მიდგომა

Master 2 : ინოვაციის მართვა (Management de l'Innovation)

სწავლის სპეციფიკა :

- ✓ ლექცია მიმდინარეობს 4 საათი;
- ✓ ყველა საგანში არის მინიმუმ 1 პროექტი, რომელზეც მინიმუმ 2 სტუდენტი მუშაობს;
- ✓ ლექციებს ატარებენ, როგორც უნივერსიტეტის პროფესორების, ასევე მოწვეული სტუმრები;
- ✓ ხორციელდება სხვადასხვა საწარმოს თუ დაწესებულებების მონახულება;
- ✓ ტარდება ფორუმები.

Master 2 : ინოვაციის მართვა (Management de l'Innovation)

გამოცდის სპეციფიკა :

- ✓ ტარდება სემესტრის ბოლოს;
- ✓ მიმდინარეობა 3 საათი;
- ✓ მუშაობა მიდის კონკრეტულ Case-ზე;
- ✓ სასწავლო მასალის (წიგნები, კონსპექტები და ა.შ) გამოყენება დამოკიდებულია საგანზე და ზოგ შემთხვევაში დაშვებულია.

Master 2 : ინოვაციის მართვა (Management de l'Innovation)

2. პრაქტიკა და დიპლომის დაცვა : 5-6 თვიანი სტაჟირება, რომლის განმავლობაში სტუდენტი მუშაობს თავის სადიპლომოზე.
- სადიპლომოს თემა უნდა შეესაბამებოდეს სტაჟირების სფეროს და მოიცავს კონკრეტულ საკითხს;
 - სტაჟის დასრულების შემდეგ სტუდენტს აქვს დიპლომის დაცვა. ამისათვის მას დიპლომის დაცვის თარიღამდე 1 კვირით ადრე მიაქვს უნივერსიტეტში თავისი ნაშრომი;
 - დიპლომის დაცვა ხორციელდება პრეზენტაციის სახით, რომლის დროს სტუდენტმა უნდა გააცნოს პროფესორებისგან შედგენილ ჟიურის 4 ძირითადი ეტაპი : ნაშრომის მიზანი; განხორციელებელი სამუშაო მიზნის მიღწევა; შედეგები და დასკვნა.



გზა მიზნის მისაღწევად

- ✓ ფრანგული ენის შესწავლა;
- ✓ უნივერსიტეტთან დაკავშირება და ადმინისტრაციული საკითხების მოგვარება (ტესტი საჭიროების შემთხვევაში), საბუთების გაგზავნა, გასაუბრება და ა.შ.;
- ✓ ფულადი სახსრების მოძიება.



გზა მიზნის მისაღწევად



ფრანგული ენის შესწავლა

✓ კერძო კურსები

✓ ალექსანდრე დიუმას სახელობის კულტურის ცენტრი





ფრანგული ენის შესწავლა



ალექსანდრე დიუმას სახელობის კულტურის ცენტრი (CCF)

ცენტრში სწავლის დადებითი მხარეები:

- ✓ უცხოელი სპეციალისტები;
- ✓ ერთობლივი კურსები;
- ✓ ბიბლიოთეკა;
- ✓ ურთიერთობა სხვადასხვა უცხოელ სტუმართან და სხვა.





საფრანგეთის საელჩოს სტიპენდია (Bourse)



სტიპენდიის მოთხოვნა შეუძლია ყველა იმ სტუდენტს ვისაც აქვს დამთავრებული უმაღლესი სასწავლებელი, ფლობს ფრანგულ ენას და ვისი ასაკიც არ აღემატება 30 წელს.

სტიპენდიის მოპოვების ეტაპები :

1. საჭირო საბუთების მოგროვება და განაცხადის გაკეთება;
2. გასაუბრება ჟიურისთან, რომელშიც შედის : საელჩოს პერსონალი, ქართველი და ფრანგი პროფესორები, საფრანგეთის ელჩი.



საფრანგეთის საელჩოს სტიპენდია (Bourse)



სტიპენდიის მოთხოვნის გასაკეთებლად გათვალისწინებული საბუთები :

- ✓ CV კანდიდატის ფოტოსათან ერთად;
- ✓ მოტივაციის წერილი;
- ✓ 3 უნივერსიტეტის და პროგრამის დასახელება თუ სად სურს კანდიდატს სწავლის გაგრძელება, აგრეთვე მაგისტრატურის პირველი თუ მეორე დონეა,
- ✓ წერილი ამორჩეული პოგრამების ხელმძღვანლებისგან, რომ კანდიდატი მართლაც დაუკავშირდა მათ;
- ✓ კანდიდატის დიპლომი და ნიშნების ფურცელი.

დასავლური ხედვა, ცოდნა და პროფესიონალიზმი



ვიზის მისაღებად საჭირო დოკუმენტები



- ✓ მოპოვებული სტიპენდიის დამადასტურებელი საბუთი;
- ✓ მოწვევა საფრანგეთის უნივერსიტეტიდან ან ოფიციალური საბუთი, რომ აპლიკანტი ჩარიცხულია უნივერსიტეტში;
- ✓ საზღვარგარეთის პასპორტი;
- ✓ 2 ფოტო სურათი;
- ✓ საფრანგეთში საცხოვრებლის მისამართი;
- ✓ დაბადების მოწმობის;
- ✓ პასპორტი.



საფრანგეთის საელჩოს მისამართი



საკონსულო

თბილისი, გოგებაშვილის 15

ტელ. (+995 32) 92 28 51

ელ. მისამართი : ambafrance@access.sanet.ge

კულტურის განყოფილება

თბილისი, გოგებაშვილის 15

ტელ. (+995 32) 98 78 23

ელ. მისამართი : ambfrtbi@access.sanet.ge

ვებ გვერდი : <http://www.ambafrance-ge.org>



ფინეთი

- უმაღლესი სტანდარტების განათლების უზრუნველყოფა ფინეთის ეროვნული სტრატეგიის ძირითადი ნაწილია.
- ფინეთში ოცამდე ცნობილი უნივერსიტეტია, რომლებიც საერთაშორისო სტუდენტებს 400-ზე მეტ ინგლისურენოვან პროგრამას სთავაზობენ.
- განათლების მიღება ფინეთში ხშირ შემთხვევაში უფასოა ან მინიმალურია სწავლის საფასური (მაგ. LL.M. სამაგისტრო პროგრამა სამართალში).



დასავლური ხედვა, ცოდნა და პროფესიონალიზმი



სწავლა ფინეთში

- ფინეთში სწავლის მსურველებს შეუძლიათ ესტუმრონ ვებ-გვერდს www.universityadmissions.fi რომელიც ამომწურავ ინფორმაციას გვაწვდის ფინეთის ყველა უმაღლეს სასწავლებელზე.
- რეკომენდირებული უმაღლესი სასწავლებლები, სადაც საერთაშორისო სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს შეუძლიათ განაცხადონ ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამებზე არის ჰელსინკის უნივერსიტეტი, შვედური ეკონომიკის სკოლა, ჰელსინკის ეკონომიკის სკოლა, ჰელსინკის ბიზნეს პოლიტექნიკუმი.
- ფინეთში მრავლად არის სხვა არანაკლებ ცნობილი უნივერსიტეტებიც მათ შორის: ტურკუს და ტამპერეს უნივერსიტეტები.



სწავლა ფინეთში

- ჰელსინკის უნივერსიტეტი (<http://www.helsinki.fi/university/index.html>) უცხოელ სტუდენტებს სთავაზობს სხვადასხვა სამაგისტრო პროგრამებს, მათ შორის აღსანიშნავია ერთ ან ორწლიანი სამაგისტრო პროგრამები: ეკონომიკაში (<http://www.helsinki.fi/econ>), სხვა სოციალურ მეცნიერებებში (<http://www.valt.helsinki.fi/faculty/adm/adm2008.htm#master>) და სამართალში (http://www.helsinki.fi/oik/tdk/english/int_LLM/index.htm).
- სტუდენტებს შეუძლიათ ასევე მიმართონ შვედურ ეკონომიკისა და ბიზნეს ადმინისტრირების სკოლას Hanken –ს (<http://www.hanken.fi/student/en/international>) ჰელსინკის ეკონომიკის სკოლას (<http://www.hse.fi/EN/education/programs/>), ჰელსინკის ბიზნეს პოლიტექნიკუმს Helia-ს (www.helia.fi) და შეარჩიონ შესაბამისი სამაგისტრო პროგრამები ინგლისურ ენაზე.



სწავლა ფინეთში

- სამაგისტრო პროგრამაზე ჩასარიცხად აპლიკანტს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის შესაბამისი ხარისხი იმ სპეციალობით, რომელიც შეესაბამება შერჩეულ სამაგისტრო პროგრამას. ფინეთში ბიზნესის/ ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამები უცხოელ სტუდენტებს შეეთავაზებათ ინგლისურ ენაზე და უფასოდ. განმცხადებელმა უნდა დაადასტუროს ინგლისური ენის ცოდნა TOEFL-სა (237 ქულა) ან IELTS-ში (6.5) ჩაბარებული გამოცდით. ზოგიერთი MBA პროგრამის მოთხოვნაა სამუშაო გამოცდილება ბიზნესის სფეროში და მისაღები გამოცდის ჩაბარებაც (მაგ. **Helia**-ში).
- ბიზნესის, მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსების და სხვა სპეციალობის სამაგისტრო პროგრამების მრავალფეროვნებას სთავაზობს შვედურ ეკონომიკისა და ბიზნეს ადმინისტრირების სკოლა **Hanken** და ჰელსინკის ეკონომიკის სკოლა. რიგ შემთხვევებში ჩარიცხვის მოთხოვნას აგრეთვე წარმოადგენს GMAT ტესტის ჩაბარება.

სწავლა ფინეთში – პრაქტიკული ინფორმაცია



- ფინეთში სწავლა უფასოა. თუმცა, ფინეთში ცხოვრების ხარჯები სტუდენტისათვის შეადგენს 700–800 ევროს თვეში.
- დაფინანსების წყაროები:
 - საქართველოს პრეზიდენტთან არსებული განვითარებისა და რეფორმების ფონდი
 - ფინეთში განათლების მისაღებად სტიპენდიის მოპოვება აგრეთვე შესაძლებელია საერთაშორისო მობილურობის ცენტრისადმი (Center for International Mobility - CIMO) მიმართვით: <http://finland.cimo.fi/scholarships.html>.
 - ასევე, შესაძლებელია ჰელსინკის უნივერსიტეტისა და სხვა სახის გრანტების მოპოვება. სტიპენდიებისა და დაფინანსების შესახებ ინფორმაციის მისაღებად ესტუმრეთ ვებ-გვერდს: <http://www.syl.fi> და http://www.helsinki.fi/studying/UH_grants_and_scholarships.shtml.



სწავლა ფინეთში

- University of Helsinki
- Helsinki School of Economics
- HANKEN Swedish School of Economics and Business Administration
- HAAGA-HELIA – University of Applied Sciences / Helsinki Business Polytechnic
- სტუდენტური საცხოვრებელი: www.hoas.fi





სწავლა შვედეთში

- 500-ზე მეტი ინგლისურ-ენოვანი სამაგისტრო პროგრამა
- შვედეთის სახელმწიფო, ყველა სტუდენტს უხდის სწავლის გადასახადს მიუხედავად ეროვნებისა და მოქალაქეობისა
- თანამედროვე სწავლების მეთოდი და მიმზიდველი სასწავლო გარემო – რეალურ პროექტებზე მუშაობა სწავლის პროცესში
- საერთაშორისო განათლებასთან ერთად, საერთაშორისო გამოცდილება და მეგობრები სხვადასხვა ქვეყნებიდან



შვედეთის წამყვანი უნივერსიტეტები:

- www.su.se სტოკჰოლმის უნივერსიტეტი
- www.lu.se ლუნდის უნივერსიტეტი
- www.uu.se უფსალას უნივერსიტეტი
- www.gu.se გოტერბურგის უნივერსიტეტი
- www.chalmers.se ჩალმერსის უნივერსიტეტი
- www.mu.se მალმოს უნივერსიტეტი
- www.mdh.se მალარდალენის უნივერსიტეტი



სწავლა შვედეთში

სტოკჰოლმის უნივერსიტეტი www.su.se გვთავაზობს
50 ინგლისურ ენოვან სამაგისტრო პროგრამას

სამართლის სამაგისტრო პროგრამები:

- European Intellectual Property Law <http://sisu.it.su.se/info/index/JEUIM/en>
- European Law <http://sisu.it.su.se/info/index/JEULM/en>
- International Commercial Arbitration Law <http://sisu.it.su.se/info/index/JICAM/en>
- Law and Information Technology <http://sisu.it.su.se/info/index/JRRIM/en>

- სწავლის ხანგრძლივობა 1 წელი
- მაგისტრატურაში სწავლის დასრულებისთანავე გენიჭებათ ხარისხი: *Degree of Master of Law*



სწავლა შვედეთში

ლუნდის უნივერსიტეტი www.lu.se გვთავაზობს
50 ინგლისურ ენოვან სამაგისტრო პროგრამას

სამართლის სამაგისტრო პროგრამები:

- European Business Law
- International Human Rights Law
- Maritime Law

- სწავლის ხანგრძლივობა 2 წელი
- მაგისტრატურაში სწავლის დასრულებისთანავე გენიჭებათ ხარისხი: *Degree of Master of Law*



სწავლა შვედეთში

რა არის ამისათვის საჭირო?

1. TOEFL-ის სერთიფიკატი არანაკლებ 79 ქულაზე (ძველი ქულებით 550)
2. შესაბამისი სპეციალობის ბაკალავრის დიპლომი და მაღალი ნიშნები
3. კონკრეტული სამაგისტრო პროგრამის აპლიკაციის შევსება, რომელიც უნივერსიტეტის ვებსაიტზე დევს
4. მონდომება და მიზანსწრაფვა



სწავლა შვედეთში

როგორ მოვნახოთ სასურველი სამაგისტრო პროგრამები?

www.studyinsweden.se ამ ვებსაიტზე არის მოცემული დაწვრილებითი ინფორმაცია შვედეთში არსებული ყველა უნივერსიტეტის, ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამების, ვადების, მოთხოვნების, სტიპენდიების მოპოვების, პროცედურების და სტუდენტური ვიზის შესახებ



სწავლა შედეგთში

კონკრეტული საგნების სწავლის გარდა, რა მივიღე პროგრამაზე სწავლის დროს?

- ანალიტიკური აზროვნების გაუმჯობესება, რეალურ პროექტებზე მუშაობის გამოცდილება;
- სხვადასხვა ეროვნებისა და კულტურის მქონე სტუდენტთა ტრადიციების გაცნობა და ბევრი საერთაშორისო მეგობარი

პირადი აზრი:

- შეუძლებელი არაფერია – მთავარია მონდომება და ცხოვრებაში მიზნის ქონა!!!



გმადლობთ ყურადღებისთვის !